



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030456889172618

№ 04-130/ო

23 / თებერვალი / 2018 წ.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს
ხელმძღვანელის და მისი მოადგილის შესარჩევი კონკურსის წესის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის (დოკუმენტის N:1826-რს; მიღების თარიღი: 22/12/2017; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებ გვერდი, 29/12/2017; ძალაში შესვლის თარიღი: 01/01/2018; სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.018716) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, „საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის და 58-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის „თ“, „ი“, „კ“, „ს“ და „ტ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის და მისი მოადგილის შესარჩევი კონკურსის წესი, დანართის მიხედვით.
2. დაევალოს სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 4 ივლისის N04-480/ო ბრძანების და სააგენტოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 4 ივლისის N04-1/ს ბრძანების საფუძველზე მოქმედ საკონკურსო კომისიას, უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართის მიხედვით საკონკურსო პროცედურების ჩატარება.
3. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), სააგენტოში მოქმედი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, უზრუნველყოს ამ ბრძანების დაგზავნა ამავე ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული საკონკურსო კომისიის პერსონალური შემადგენლობისათვის.
4. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების საჯაროობა, სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) გამოქვეყნების გზით.
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6), მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

ზაზა სოფრომაძე

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის და მისი მოადგილის შესარჩევი კონკურსის წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. წესის რეგულირების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის და მისი მოადგილის ვაკანტური თანამდებობის (შემდგომში – ვაკანტური თანამდებობა) დასაკავებლად კონკურსის (შემდგომში – კონკურსი) ჩატარების წესსა და პირობებს, კონკურსის ეტაპებს, საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს.

მუხლი 2. კონკურსი არსი

1. კონკურსი არის საუკეთესო კანდიდატის შერჩევა, ვაკანტური თანამდებობისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

2. საუკეთესო კანდიდატი ვაკანტურ თანამდებობაზე შეირჩევა მხოლოდ ღია საჯარო კონკურსის საფუძველზე, ამ წესით დადგენილი პირობებით.

მუხლი 3. კონკურსის პრინციპები

კონკურსის პრინციპები ეფუძნება: სამართლიანობის, კანონიერების, კანონის წინაშე თანასწორობის, არადისკრიმინაციულობის, ობიექტურობის, ეკონომიურობისა და ეფექტიანობის, მიუკერძოებლობის, კორექტურობის, საქართველოს მოქალაქეთათვის დასაქმების თანაბარი ხელმისაწვდომობის, ანგარიშვალდებულების, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის, გამჭვირვალობის, საჯაროობისა და ღიაობის პრინციპებს.

მუხლი 4. კონკურსის მიზანი და ამოცანები

1. კონკურსის მიზანია, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნათა გათვალისწინებით, საუკეთესო კანდიდატის შერჩევა.

2. კონკურსის ამოცანებია:

ა) არსებულ ვაკანტურ თანამდებობათა თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ბ) ვაკანტური თანამდებობებისათვის კანდიდატების შერჩევისა და მათი სააგენტოში დასაქმების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

გ) საუკეთესო კანდიდატების შერჩევა ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, მისი კვალიფიკაციის, უნარ-ჩვევების, პროფესიული გამოცდილებისა და მოტივაციის შეფასების საფუძველზე.

თავი II. ღია კონკურსი

მუხლი 5. ღია კონკურსის არსი

1. ღია კონკურსი ცხადდება ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

2. სააგენტოს შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, შესაძლებელია გამოცხადდეს ღია კონკურსი ამ წესის პირველ მუხლში მითითებულ თანამდებობაზე, რომელიც ღია კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის არ არის ვაკანტური, მაგრამ არსებობს დადასტურებული საფუძველი, რომ აღნიშნული თანამდებობა გამოცხადებული კონკურსის დასრულებამდე გახდება ვაკანტური.

მუხლი 6. ღია კონკურსის გამოცხადება

ღია კონკურსი ვაკანტურ თანამდებობაზე ცხადდება მხოლოდ სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის – www.ssa.gov.ge მეშვეობით.

მუხლი 7. ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინება

1. ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს ვაკანტური თანამდებობისათვის დადგენილ სამუშაო აღწერილობას და უნდა განსაზღვრავდეს კანდიდატის მიერ ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც გულისხმობს კანდიდატის როგორც პიროვნული უნარ-ჩვევების, ისე პროფესიული გამოცდილების ამსახველი დოკუმენტაციის ჩამონათვალის არსებობას, კერძოდ, ის უნდა შეიცავდეს აუცილებლად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს და ასევე შემდეგ მონაცემებს:

- ა) სააგენტოს დასახელებას;
- ბ) ღია კონკურსის წესით შესავსები ვაკანტური თანამდებობის დასახელებას;
- გ) კანდიდატის მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
- დ) ვაკანტური თანამდებობისათვის დადგენილი სამუშაო აღწერილობის მიხედვით განსაზღვრულ ფუნქციებს;
- ე) ინფორმაციას თანამდებობრივი სარგოს შესახებ;
- ვ) განცხადებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და წარდგენის ვადას;
- ზ) ინფორმაციას კანდიდატის შეფასების ფორმის შესახებ;
- თ) საკონკურსო კომისიის მისამართს;
- ი) ღია კონკურსის ეტაპებს;
- კ) საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილებების მიღების ვადას.

2. შესაძლებელია, ღია კონკურსის შესახებ შეტყობინებაში აისახოს სხვა ინფორმაციაც.

3. კანდიდატის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება, როგორც წესი, ვაკანტური თანამდებობის სპეციფიკისა და ამ თანამდებობისათვის დადგენილი სამუშაო აღწერილობის შინაარსის გათვალისწინებით.

მუხლი 8. ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინებაში ცვლილების შეტანა

1. ღია კონკურსის შესახებ შეტყობინებაში შესაძლებელია ტექნიკური ხასიათის შესწორების ან/და არსებითი ხასიათის ცვლილების შეტანა.

2. ღია კონკურსის შესახებ შეტყობინებაში ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესწორების ან/და ცვლილების შეტანა ხდება იმავე წესით, რაც დადგენილია ღია კონკურსის გამოცხადებისათვის.

3. ღია კონკურსის შესახებ შეტყობინებაში არსებითი ცვლილების შეტანა გულისხმობს ახალი ღია კონკურსის გამოცხადებას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, არსებითი ცვლილებისა და ღია კონკურსის ახალი ვადების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება იმ კანდიდატებს, რომლებსაც უკვე გაკეთებული აქვთ განაცხადი კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინებაში არსებითი ცვლილებების შეტანამდე.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ღია კონკურსის გამოცხადებისას, კანდიდატს, ახალი განცხადების წარსადგენად, თავიდან ეძლევა ამ წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადა.

მუხლი 9. ღია კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენა

1. ღია კონკურსში მონაწილეობისათვის, კანდიდატი განაცხადს წარადგენს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის – www.ssa.gov.ge მეშვეობით (შემდგომში – სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდი).

2. კანდიდატი ვალდებულია, სააგენტოს მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია და დოკუმენტები საკონკურსო მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

3. კანდიდატს ღია კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარსადგენად ეძლევა კონკურსის გამოცხადების დღიდან 10 კალენდარული დღის ვადა, ხოლო, თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა – ეს ვადა გადაიწევეს არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე.

4. კანდიდატი უფლებამოსილია, განაცხადში შეიტანოს ცვლილება სააგენტოს მიერ განაცხადების წარდგენისთვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე.

მუხლი 10. ღია კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე პირები

1. ღია კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) იცის სახელმწიფო ენა;
- ბ) მიაღწია 18 წელს;
- გ) აკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს.

2. კონკურსში მონაწილეობის უფლება არა აქვს პირს, თუ:

- ა) იგი ნასამართლევა განზრახი დანაშაულისათვის;
- ბ) იგი სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომისათვის და დისციპლინური გადაცდომისათვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ არის გასული;
- გ) მას სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი საქმიანობის განხორციელების ან/და თანამდებობის დაკავების უფლება;
- დ) იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

3. სააგენტოში დასაქმებულ პირს უფლება აქვს, მიიღოს ღია კონკურსში მონაწილეობა საერთო წესის საფუძველზე, მის მიერ დაკავებული თანამდებობის მიუხედავად.

მუხლი 11. სააგენტოს უფლება-მოვალეობები

სააგენტოს უფლება-მოვალეობებია:

- ა) გამოაცხადოს კონკურსი თავის მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე;
- ბ) კონკურსის შესახებ შეტყობინებაში შეიტანოს ტექნიკური ხასიათის შესწორება ან/და არსებითი ხასიათის ცვლილება;
- გ) შეწყვიტოს გამოცხადებული კონკურსი სააგენტოს ან სააგენტოს შიგნით მიმდინარე რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, სხვა დაწესებულებასთან შერწყმის, არასაკმარისი საბიუჯეტო სახსრების ან/და სხვა გაუთვალისწინებელი, ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში და აღნიშნულის შესახებ აცნობოს კანდიდატებს;
- დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობები.

მუხლი 12. კანდიდატის უფლება-მოვალეობები

კანდიდატის უფლება-მოვალეობებია:

- ა) კონკურსში მონაწილეობის მიზნით, წარადგინოს ელექტრონული განაცხადი სააგენტოს მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე;
- ბ) შეიტანოს ცვლილება გაკეთებულ განაცხადში, სააგენტოს მიერ განაცხადის წარდგენისთვის განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე;
- გ) სააგენტოს მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია და დოკუმენტები, საკონკურსო მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
- გ) გაასაჩივროს ღია კონკურსის შედეგები, ამ წესის მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობები.

მუხლი 13. საკონკურსო კომისია და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

1. ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად, სააგენტოში იქმნება საკონკურსო კომისია, სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. სააგენტოს დირექტორი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ ნიშნავს თავის ერთ-ერთ მოადგილეს ან სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ან გარეშე პირს, რომელიც სამსახურებრივად დაკავშირებული არ არის სააგენტოსთან.
3. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს, პროფესიული ან ტერიტორიული პრინციპის მიხედვით შექმნას საკონკურსო კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობა.
4. საკონკურსო კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობის თავმჯდომარეს ნიშნავს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 14. საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა

1. საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში მონაწილეობას იღებენ, აგრეთვე, მოხელეთა დარგობრივი პროფესიული კავშირის (მისი არსებობის შემთხვევაში) წარმომადგენელი და დამოუკიდებელი, მოწვეული სპეციალისტი ან/და შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელიც სამსახურებრივად დაკავშირებული არ არის სააგენტოსთან.
2. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ამავე კომისიის წევრთაგან ნიშნავს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, ცვლის მას.
3. კანდიდატი არ შეიძლება იყოს იმ საკონკურსო კომისიის წევრი, რომელმაც უნდა მოახდინოს მისი შერჩევა.

მუხლი 15. საკონკურსო კომისიის წევრის აცილება

1. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია, ღია კონკურსის ეტაპების დაწყებამდე წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს კანდიდატის ობიექტურად შეფასებასა და კანდიდატის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება. შესაბამისად, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას იმავე ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი სხვა კანდიდატების შეფასებასა და მათ მიმართ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
3. თუ საკონკურსო კომისიის წევრი არ განაცხადებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნულის შესახებ საკონკურსო კომისიისათვის ცნობილი გახდება ღია კონკურსის მიმდინარეობისას, საკონკურსო კომისიის ამ წევრის მიერ კანდიდატის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული კონკურსის დასრულების შესახებ საკონკურსო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

მუხლი 16. საკონკურსო კომისიის საქმიანობა და მის წევრთა შრომის ანაზღაურება

1. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.
2. საკონკურსო კომისია, როგორც წესი, გადაწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემის საფუძველზე.
3. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, გადაწყვეტილება მიიღოს კენჭისყრის საფუძველზე. ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.
4. საკონკურსო კომისია, ამ წესის შესაბამისად, აფასებს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ საკონკურსო (საკვალიფიკაციო) მოთხოვნებთან.

5. საკონკურსო კომისიის მიერ კანდიდატის შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი, თანმიმდევრულად და თანაბრად გამოყენებული ყველა კანდიდატისადმი ღია კონკურსის ყველა ეტაპზე.

6. საკონკურსო კომისიის მიერ კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარდგენილი დოკუმენტების, ტესტირების და გასაუბრების შედეგების შეფასებას.

7. საკონკურსო კომისიის მიერ კანდიდატის შეფასების დასაბუთებული შედეგი, კონკურსის თითოეული ეტაპის მიხედვით, აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და საკონკურსო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრები. საკონკურსო კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

8. საკონკურსო კომისია ვალდებულია, კონკურსის დასრულების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

9. თუ საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის დასრულების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, წინასწარ განსაზღვრულია ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაზე უფრო მცირე ვადა, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, გაზარდოს იგი ვადის ამოწურვამდე. ასეთ შემთხვევაში, თავდაპირველად განსაზღვრული და გაზრდილი ვადის ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

10. მხოლოდ საკონკურსო კომისიის მოწვეულ წევრთა შრომა შესაძლებელია ანაზღაურდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 17. ღია კონკურსის ეტაპები, ჩატარების ფორმები და პირობები

1. ღია კონკურსის ეტაპებია:

ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ბ) კანდიდატის შეფასება;

გ) ღია კონკურსის დასრულება.

2. ღია კონკურსის პროგრამას, პირობებს, კანდიდატის შეფასების ფორმებსა და ჩატარების გრაფიკს განსაზღვრავს საკონკურსო კომისია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ღია კონკურსის ორგანიზებულად ჩატარებას უზრუნველყოფს სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების სამმართველო.

მუხლი 18. ღია კონკურსის პირველი ეტაპი

1. ღია კონკურსის პირველი ეტაპი წარმოადგენს კანდიდატის განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, რაც გულისხმობს გამოცხადებული ვაკანსიისათვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებას.

2. ღია კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, საკონკურსო კომისიის დავალებით, უზრუნველყოფს სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების სამმართველო.

3. სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების სამმართველო, კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადების წარდგენისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო, თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა – არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე, ადგენს განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

4. განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შედეგებს, მათი დადგენიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა – არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე, სააგენტოს

ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების სამმართველო დასამტკიცებლად წარუდგენს საკონკურსო კომისიას, რაც ფორმდება საკონკურსო კომისიის შესაბამისი ოქმით.

5. ღია კონკურსის მომდევნო ეტაპამდე 5 კალენდარული დღით ადრე, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა – მომდევნო სამუშაო დღის ჩათვლით, საკონკურსო კომისია ვალდებულია, ელექტრონულად ან/და წერილობით აცნობოს კანდიდატს მის მიერ წარდგენილი განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ, ხოლო კანდიდატის მოთხოვნის შემთხვევაში – აგრეთვე შეუსაბამობის მიზეზი.

მუხლი 19. ღია კონკურსის მეორე ეტაპი

1. ღია კონკურსის მეორე ეტაპი გულისხმობს კანდიდატის შეფასებას საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

2. კანდიდატის შეფასება უნდა ემყარებოდეს კანდიდატის სამუშაო გამოცდილებისა და მისი პროფესიული ცოდნის ვაკანტური თანამდებობისათვის გათვალისწინებულ სამუშაო აღწერილობასთან და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

3. კანდიდატის შეფასება ხდება შემდეგი ფორმებით:

- ა) ტესტირებით;
- ბ) გასაუბრებით.

4. საკონკურსო კომისია, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადებისას განსაზღვრავს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შეფასების ფორმებს.

5. საკონკურსო კომისიის მიერ კანდიდატის შეფასების დასაბუთებული შედეგი აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში, რომელიც, როგორც წესი, დგება 2 სახით – ერთი ტესტირების ფორმისთვის, ხოლო მეორე – გასაუბრების ფორმისთვის.

6. ღია კონკურსის მეორე ეტაპის შედეგები, მისი დამტკიცების შესახებ საკონკურსო კომისიის ოქმის შედგენიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა – არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ელექტრონულად ან/და წერილობით ეცნობება კანდიდატებს.

7. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ფორმებით კანდიდატის შეფასებისას, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოიყენოს სხვა ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსი.

8. კანდიდატის წინასწარი ინფორმირების შემთხვევაში, გასაუბრებაზე შეიძლება განხორციელდეს გასაუბრების აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

მუხლი 20. ღია კონკურსის დასრულება

1. საკონკურსო კომისია, ამ წესის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით შესაბამისი ინფორმაციის გაგზავნიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა – არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარადგენს საუკეთესო კანდიდატს ან დასაბუთებულ უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე, რაც ნიშნავს ღია კონკურსის დასრულებას.

2. საკონკურსო კომისია, ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა – არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, კანდიდატს, რომელიც მონაწილეობდა ტესტირებაზე მაინც, ელექტრონულად ან/და წერილობით აცნობებს მის მიმართ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას – ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენის ან წარდგენაზე უარის შესახებ.

მუხლი 21. ღია კონკურსის ჩაშლილად გამოცხადება

ღია კონკურსი ჩაშლილად მიიჩნევა, თუ:

ა) მასში მონაწილეობისათვის წარდგენილი არ იქნა არცერთი განაცხადი;

ბ) საკონკურსო კომისიამ დასაბუთებული უარი განაცხადა ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წარდგენაზე.

მუხლი 22. ღია კონკურსის შეწყვეტის საფუძვლები

1. სააგენტოს ან მისი სტრუქტურის შიგნით არსებული რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, სხვა დაწესებულებასთან შერწყმის, არასაკმარისი საბიუჯეტო სახსრების ან/და სხვა გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს გამოცხადებული ღია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე შეწყვეტა, კონკურსის დასრულების შესახებ კანდიდატისათვის საკონკურსო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილების გაცნობამდე.

2. ღია კონკურსის შეწყვეტის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება ეცნობება კანდიდატებს.

მუხლი 23. კანდიდატის თანამდებობაზე დანიშვნა

1. საკონკურსო კომისიის მიერ წარდგენილ კანდიდატს თანამდებობაზე ნიშნავს სააგენტოს დირექტორი.

2. პირის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს და დამატებით უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) თანამდებობაზე დასანიშნი პირის სახელი და გვარი;

ბ) თანამდებობის დასახელება, შესაბამისი თანამდებობრივი სარგოს ოდენობა, საკლასო დანამატი (მისი არსებობის შემთხვევაში);

გ) თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი;

დ) პირის გამოსაცდელი ვადა, თუ პირი თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით მიიღება.

3. საკონკურსო კომისიის მიერ წარდგენილი კანდიდატის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა საკონკურსო კომისიის მიერ სააგენტოს დირექტორისათვის სათანადო გადაწყვეტილების წარდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა – არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

თავი III. უფლების დაცვა

მუხლი 24. ღია კონკურსის შედეგების გასაჩივრება

კონკურსის მონაწილე კანდიდატს უფლება აქვს, კონკურსის პროცედურების, ეტაპებისა და შედეგების თაობაზე მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.